

ხუდონჰესთან დაკავშირებული კორპორაციები და პოლიტიკურად ანგაჟირებული მდიდარი ადამიანები

ივლისი, 2015

ეს ნარკვევი ნათელს ფენს ბურუსით მოცულ ისტორიას, რომელიც ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ კომპანია „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედ“-ს უკავშირდება; სწორედ ამ კომპანიასთან დადო საქართველოს მთავრობამ ხელშეკრულება ზემო სვანეთში ხუდონ-ჰესის პროექტის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე. საჯარო დოკუმენტებზე დაყრდნობით, როგორცაა სამეწარმეო რეესტრებში დაცული ინფორმაცია და სამთავრობო ხელშეკრულებები, ნარკვევი აღწერს ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებული კომპანიების, პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანებისა და სხვა კერძო პირების ქსელს. ამასთან, დოკუმენტში დამატებით აღწერილია პროექტის ვადებთან და სხვადასხვა სახელშეკრულებო პირობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ნარკვევის მიზანია პროექტის შემდგომი კვლევისთვის ნიადაგის მომზადება და ხუდონჰესის მიზანშეწონილობის თაობაზე მიმდინარე დისკუსიებში წვლილის შეტანა.

ძირითადი საკითხები

კომპანია, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული, გაურკვეველი საკუთრების სტრუქტურით.

- კონცესიონერი არის ოფშორული კომპანია, რომლის ბენეფიციარი მფლობელების ვინაობა, ისევე როგორც დაფინანსების წყაროები უცნობია.

ურთიერთგაგების მემორანდუმსა და საქართველოს მთავრობის მიერ ხელმოწერილ შემდგომ ხელშეკრულებებში კონტრაქტორი კომპანია სხვადასხვა სახელებითაა მოხსენიებული.

- ურთიერთგაგების მემორანდუმი ხუდონჰესის მშენებლობის პროექტზე გაფორმდა კომპანია „**Continental Energy Limited**“-თან, რომელიც ბელიზშია დარეგისტრირებული. სამუშაოს შესრულების თაობაზე შემდგომ ხელმოწერილ ხელშეკრულებებში კი ფიგურირებს „**Continental Energy International Limited**“, რომელიც დარეგისტრირებულია დიდი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე. მოგვიანებით „**Continental Energy International Limited**“-მა სახელი შეიცვალა და გახდა „**Trans Electrica Limited**“-ი.

პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანების სახელები უკავშირდება კონტრაქტორი კომპანიის შვილობილ კომპანიებს.

- საქართველოს საწვავისა და ენერჯეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა არის შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ ტექნიკური დირექტორი; პოლიტიკური პარტია ახალი მემარჯვენეების დამაარსებელი ირაკლი იაშვილი ფლობს „ტრანს ელექტრიკა ტრედიინგ ლიმიტედის“ აქციების 50 პროცენტს.

კონტრაქტორი კომპანია დაკავშირებულია ლატვიელ-ქართველ ბანკირთან, რომელიც რუსულ SMP ბანკთან არის დაკავშირებული.

- გოჩა თუთბერიძემ, ქართული წარმომავლობის ლატვიის მოქალაქემ, თავისი თბილისური მისამართი დაუთმო შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“, რათა ამ უკანასკნელს შესაბამის ორგანოებში სწორედ ამ მისამართზე დაერეგისტრირებინა საკუთარი ოფისი. გოჩა თუთბერიძე „Meridian Trade Bank“-ის დირექტორის მოადგილეა. „Meridian Trade Bank“ არის სამართლებრივი მემკვიდრე ლატვიური SMP ბანკის, სადაც გოჩა თუთბერიძე იყო დირექტორთა საბჭოს წევრი. ლატვიური SMP ბანკის საკონტროლო პაკეტს ფლობს რუსული SMP ბანკი, რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელები არიან თავის მხრივ არკადი და ბორის როტენბერგები.


კონტრაქტორი კომპანიის შვილობილი ქართული კომპანიის დირექტორი დაკავშირებულია საქართველოს მოქალაქესთან, რომლის სახელიც ფიგურირებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებთან დაკავშირებულ თაღლითობაში.

- შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ დირექტორი პაატა წერეთელი გიორგი მგალობლიშვილთან ერთად იყო დირექტორი კომპანია “Caspian Development Corporation Ltd”-ში, რომელიც გაუქმდა 2009 წელს. გიორგი მგალობლიშვილი კი თავის მხრივ, იყო ერთ-ერთი დირექტორი შპს „კვარციტის“ (ამჟამინდელი RMG Gold), რომელიც ჩართული იყო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებთან დაკავშირებულ თაღლითობაში.

გაურკვეველია კონტრაქტორის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ გადახდილი გადასახადების ოდენობაც.

- არ არის ცნობილი, გადაუხადა თუ არა და რამდენი კონტრაქტორმა საქართველოს მთავრობას ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, კერძოდ, გადასახადები რომლის ოდენობა განსაზღვრული იყო წინასწარ ხელშეკრულებაში და ასევე ჯარიმები ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის.

ვინ ვინ არის ხუდონ-ჰესის პროექტის ისტორიაში?



1. კომპანიები

Advisors & Services (BVI) Corporation (დიდი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) - საერთაშორისო ბიზნეს კომპანია, დარეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე IBC ნომრით #712 1993 წლის 22 ივნისს. ეს არის „**Continental Energy International Limited**“ -ს რეგისტრირებული აგენტი.

- დარეგისტრირებული ოფისი და დარეგისტრირებული აგენტი: **Morgan & Morgan Trust Corporation (Belize) Limited**, Jasmine Court, 35 A Regent Street, Suite 101, Belize City, Belize
- დირექტორი: **ლუს დავიდი**

„**Caspian Development Corporation Ltd**“ (გაუქმებული) - დარეგისტრირებულია ბრიტანეთში 2007 წლის 20 აგვისტოს, კომპანიის ნომერი 06347984, გაუქმდა 2009 წლის 28 აპრილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანია, რეგისტრირებულია მისამართზე: Suite 501, International house, 223 Regent Street, London, W1B 2QD. დირექტორები **გიორგი მგალობლიშვილი და პაატა წერეთელი**. დარეგისტრირებული მისამართი: Flat 3, 70 Kensington Gardens London W2 4DG

„**Continental Construction Corporation Limited**“ (CCCL)

- რეგისტრირებული მისამართი: 28 - 29, Nehru Place, New Delhi, Delhi 110019, India, +91 11 6654 2900;
- დირექტორები: **პრამოდ კუმარ მისრა** (სრულ შტატზე მყოფი დირექტორი 2008 წლის 22 აპრილიდან) და **მოჰინდერ კუმარ ვერმა** (მმართველი დირექტორი 2008 წლის 31 მარტიდან)

„**Continental Energy International Limited**“ - დარეგისტრირებულია დიდი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე (BVI) 2008 წლის 2 მაისს. BVI კომპანიის ნომერი 1479874; 2010 წლის 14 იანვარს კომპანიამ შეიცვალა სახელი და გახდა „**Trans Electrica Limited**“

- რეგისტრირებული ოფისი და რეგისტრირებული აგენტი: „**Advisors & Services (BVI) Corporation**“, Jasmine Court, 35 A Regent Street, Suite 101, Belize City, Belize
- პირველი დირექტორი: „**Advisors & Services (BVI) Corporation**“ (დაერქვა 2008 წლის 2 მაისს)
- შემდეგი დირექტორები: დირექტორი უცნობია;

Continental Energy Limited (ბელიზი) - დარეგისტრირებულია 2006 წლის 21 აგვისტოს ბელიზში, რეგისტრაციის ნომერი 54,372

- რეგისტრირებული აგენტი: „**Orion Corporate & Trust Services Limited**“
- აგენტის მისამართი: No. 5 Cork Street
- დარეგისტრირებული ოფისი: 35 NEW ROAD
- რეგისტრაციის თარიღი: 21/08/2006
- ავტორიზებული კაპიტალი: **50,000.00**

Continental Energy Limited (გაერთიანებული სამეფო) - დარეგისტრირებულია 2003 წლის 22 მაისს გაერთიანებულ სამეფოში; კოპორაციის საიდენტიფიკაციო ნომერი: 04773877.

- კომპანიის ტიპი: კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია
- ბიზნესის ტიპი (SIC): 7499 - არასავაჭრო კომპანია
- ბოლო წლიური შემოსავლები: 2004 წლის 22 მაისი
- რეგისტრირებული მისამართი: 32 Wood Lane Kingsbury, London

- დამფუძნებელი დირექტორი: **ნუტან მოდჰა**
- კომპანიის სტატუსი: გაუქმდა 21/02/2006 (პირველი გაუქმება ოფიციალურ სამთავრობო ბიულეტენში 2005 წლის 1 ნოემბერი)

Jepira საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის კომუნიკაციების კომპანია - ქართული საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო, რომელსაც იყენებდა როგორც **RMG Gold**, ისე **Trans Electrica Limited**.

Morgan & Morgan Trust Corporation Limited (ბელიზი) - დარეგისტრირებულია 1992 წლის 7 აპრილს ბელიზში; იგი არის **Advisors & Services (BVI) Corporation**-ის (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) დარეგისტრირებული აგენტი

- ოფისი დარეგისტრირებულია: Jasmine Court, 35 A Regent Street, Belize City, Belize

Morgan & Morgan Trust Corporation Limited არის ტრანს ელექტრა ლიმიტედის რეგისტრირებული აგენტი

- დარეგისტრირებული ოფისი: P.O. Box 958, Pasea Estate, Road Town, Tortola, BVI

Olney Assets S.A. - დარეგისტრირებულია 2010 წლის 24 სექტემბერს პანამაში, კომპანიის ნომერი: 713419

SGGS Infrastructure Limited - დარეგისტრირებულია 2011 წლის 29 ივლისს ჯერზიში, კომპანიის ნომერი: 108723, რეგისტრაციის მისამართი: 1st Floor, 37 Broad Street, St Helier, JE2 3RR, Jersey

SJVN Limited - ინდოეთის ენერჯეტიკის სამინისტროს CPSU (საზოგადოებრივი და სახელმწიფო სექტორების კავშირი) არის ინდოეთის მთავრობისა და ჰიმაჩალ პრადეშის მთავრობის ერთობლივი საწარმო. **SJVN** წარმატებით ამუშავებს ქვეყნის უდიდეს, 1500 მეგავატთან ნათპა ჯჰაკრის ჰიდროელექტროსადგურს.

Trans Electrica Georgia Limited - დარეგისტრირებულია საქართველოში, ნომრით 404857650, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია

- შვილობილი კომპანია - **Trans Electrica Limited**-ი არის 100%-იანი მფლობელი
- დირექტორები: **პრამოდ კუმარ მისრა, მოჰინდერ კუმარ ვერმა, პაატა წერეთელი, რევაზ ლურსმანაშვილი**
- საწესდებო კაპიტალი 200 მლნ. ლარი
- მინდობილობა გაცემულია **Trans Electrica Limited** მიერ პაატა წერეთელზე **Trans Electrica Georgia Limited** ჩამოსაყალიბებლად

Trans Electrica Limited - დარეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე (BVI) 2010 წლის 21 იანვარს; BVI კომპანიის ნომერი: 1479874, # RG 10075, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია.

- რეგისტრირებული ოფისი და რეგისტრირებული აგენტი: **Morgan & Morgan Trust Corporation Limited**, P.O. Box 958, Pasea Estate, Road Town, Tortola, BVI
- დირექტორები: დირექტორი უცნობია
- აკონტროლებს: დირექტორთა საბჭო
- სახელმძღვანელო დოკუმენტი: მემორანდუმი და ასოციაციის წესდება

- შეზღუდული პასუხისმგებლობა: დიას
- ფინანსირების წყაროები: კრედიტები და სააქციო კაპიტალი
- აქციები: კომპანია უშვებს მხოლოდ დარეგისტრირებულ აქციებს, შეუძლია მაქსიმუმ 50 000 ნომინალური ღირებულების არ მქონე აქციის გამოშვება, დირექტორს შეუძლია შეიძინოს კომპანიის ყველა აქცია

Trans Electrica Trading Limited - დარეგისტრირებულია საქართველოში, პირადი ნომერი: 401981405, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია.

2. კერძო პირები

ბუპენდრა კანსაგრა (იგივე ბულო კანსაგრა) - ტრანს ელექტრიკა ჯორჯია ლიმიტედი-ს დირექტორი, შეძლებული პირი და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის ინვესტორი

- არარეზიდენტი ინდოელი, ცხოვრობს ლონდონში;
- ინდური იაფფასიანი ავიაკომპანია **SpiceJet**-ს დამაარსებელი, საკუთარი წილი გაყიდა 2010 წელს, 2013 წელს შედიოდა საავიაციო ინდუსტრიის 10 უმდიდრესი ადამიანის რიცხვში;
- კანსაგრას ოჯახური ბიზნესის **Solai Holdings Limited**-ის ფინანსური დირექტორი (დაარსებულია 1970-ანი წლების დასაწყისში, 2010 წელს ბრუნვა შეადგენდა: 540 მლნ აშშ დოლარს) რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ინვესტიციები, მმართველობის და ადმინისტრაციული სერვისები, მშენებლობა, სასუქის ექსპორტი, ქიმიური პროდუქტები, ქარხნები და მოწყობილობები, ნავთობპროდუქტების გაყიდვა, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები და გადაზიდვები;
- მას განხორციელებული აქვს ინვესტიციები კენიის ნავთობსაბადოებში;
- მისი სახელი ასევე უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო, მებაღეობის, წიაღისეულის გადამამუშავებელი მრეწველობის, სასტუმროებისა და ბინათმშენებლობის საერთაშორისო ჯგუფებს, რომლებიც წარმოდგენილია დიდ ბრიტანეთში, კენიაში, ტანზანიაში, მოზამბიკში, სუდანში, ნიგერიაში და ინდოეთში;
- Malwood Group-ის საშუალებით მან განავითარა საკუთარი ბიზნესი დიდ ბრიტანეთში, ნიგერიაში, კენიასა და ტანზანიაში. მან ჩამოაყალიბა საწვავის შენახვისა და განაწილების კომპანია, რომლის ფლობს საწვავის მიწოდების 7,000 ათასზე მეტ პუნქტს ლაგოსში. იგი თანამშრომლობდა შევრონთან და ტექსაკოსთან ნიგერიაში გეოლოგიური საძიებო სამუშაოს ჩატარებისას ზღვის შეღვში.
- იგი რამდენიმე კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრია.

დავით მირცხულავა

- შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას ტექნიკური დირექტორი;
- საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, ენერჯის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი, INTER RAO UES-ს (რუსეთი) გეოგრაფიული განყოფილების (კავკასია, თურქეთი და ახლო აღმოსავლეთი) ხელმძღვანელი, ისრაელის ენერჯო-პროექტების პარტნიორი;

გიორგი მაგლობლიშვილი - ასევე ცნობილია როგორც ჯორჯ მაგლობლიშვილი, ან ჯორჯ ჰოვარდ რიჩმონდი;

- **Caspian Development Corporation Ltd** დირექტორი პაატა წერეთელთან ერთად;
- გაერთიანებულ სამეფოში ჯორჯ რიჩმონდი ფლობს 2 თანამდებობას 2 მოქმედ კომპანიაში, ჰქონდა 10 თანამდებობა 10 გაუქმებულ კომპანიაში.

პირველი თანამდებობა ჯორჯმა მიიღო 39 წლის ასაკში. ყველაზე დიდ ხანს - 1 წელი და 3 თვე - გაჩერდა თანამდებობაზე „AGM OPPORTUNITIES LIMITED“-ში. ჯორჯ რიჩმონდი ასევე მუშაობდა კომპანიებში: OIL GAS ASSETS LIMITED, GOLD WORLD ASSETS LIMITED, VAL VERDE DEVELOPMENTS LIMITED, GLOBAL NATURAL LIMITED, COEUR GOLD ARMENIA LIMITED, MEIRA HOLDINGS LTD, MIR MINING PROJECTS LTD, RUSSOIL LTD, THORIUM POWER CORPORATION LTD, BRITISH ECO POWER LTD, UNITY GOLD LTD. AGM OPPORTUNITIES LIMITED

- 1994-2000 წლებში იყო შპს „კვარციტის“ (დღევანდელი „RMG Gold“) დირექტორი. კომპანია აწარმოებდა ოქროს გადამუშავებას „მადნეულის საბადოზე“;
- 2001 წლის 15 იანვარს დააპატიმრეს სს „მადნეულთან“ და შპს კვარციტთან დაკავშირებული თაღლითობის ბრალდებით;

გოჩა თუთბერიძე - (იკითხება ასევე როგორც გოკა), ლატვიის მოქალაქე

- 2010 წლის 1 მარტს გოჩა თუთბერიძემ თანხმობა გამოთქვა, რომ მისი ბინის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 41, ბინა 43 გადასცემოდა „**Trans Electrica Georgia Limited**“-ს, რათა ამ უკანასკნელს ეს მისამართი დაერეგისტრირებინა ოფიციალურ ორგანოებში საკუთარი ოფისის მისამართად.
- ლატვიის SMP Bank დირექტორთა საბჭოს წევრი 2007-2008, 2004-2007 და 2001 წლებში;
- **Meridian Trade Bank**-ის (ლატვია) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია 2014 წ. მას შემდეგ რაც **SMP Bank**-მა შეიცვალა სახელი და გახდა **Meridian Trade Bank**-ი;
- ფლობს აქციების 9.13 პროცენტს **Meridian Trade Bank**-ში;
- **რუსული SMP ბანკი** ფლობდა საკონტროლო პაკეტს **ლატვიის SMP ბანკში**, სადაც **არკადი და ბორის როტენბერგები** საბჭოს წევრები იყვნენ. თავის მხრივ, ძმები არკადი და ბორის როტენბერგები არიან რუსული **SMP ბანკის** საკონტროლო პაკეტის მფლობელები.
- რუსული SMP ბანკი და ძმები როტენბერგები მოხვდნენ რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სანქციონირებულთა სიაში. აშშ-ს მიერ არკადი როტენბერგი და მისი ძმა ბორისი შავ სიაში შეიყვანეს 2014 წლის მარტში. ერთი თვის შემდეგ კი აშშ-მ სანქცია დაუწესა თავად რუსულ ბანკსაც.
- ერთობლივი სააქციო კომპანია **SMP ბანკი** არის ლატვიაში რეგისტრირებული კომპანია, რომელიც ლატვიური კანონმდებლობის ფარგლებში მოღვაწეობს. ამდენად აშშ-ს სანქციები რუსული SMP ბანკის მიმართ ლატვიურ ბანკს არ შეეხება.
- 2014 წლის 28 აპრილს, ანუ იმ დღეს როცა აშშ-ს მიერ ამოქმედებული სანქციები გაფართოვდა და მოიცვა რუსული SMP ბანკი, ლატვიურმა SMP ბანკმა განაცხადა, რომ ერთი კვირის წინ მისმა რუსულმა დედობილმა კომპანიამ საკუთარი წილი შეამცირა 96 პროცენტიდან 49 პროცენტამდე. 7 მაისს მან ასევე განაცხადა სახელის შეცვლის თაობაზე და 14 მაისს გამოაცხადა, რომ რუსულმა კომპანიამ მისი სრული წილი ლატვიურ ბანკში გაყიდა.
- აღნიშნული ბანკი სავარაუდოდ დონორია ლატვიის რუსული პოლიტიკური პარტიის (დაუდასტურებელია).

ირაკლი იაშვილი

- „Trans Electrica Trading Limited“-ის აქციების 50%-ს მფლობელი;
- პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და პარლამენტის წევრი;
- ბიზნესმენი რუსული კონტაქტებით;
- აქვს კავშირები ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრთან კახა თარგამაძესთან;
- უმდიდრეს ქართველთა სიაში 76-ე ადგილზეა;

მოჰინდერ კუმარ ვერმა, ტრანს ელექტრიკას ნდობით აღჭურვილი პირი და აგენტი, Trans Electrica Georgia Limited-ის დირექტორი, მდიდარი პიროვნება და ხუდონჰესის ინვესტორი

- მემკვიდრეობით ჩაიბარა მამისგან, C L Verma-სგან, „Continental Construction Corporation Limited“
- ბულო კანსაგარასთან ერთად ფლობდა SRM Exploration (საძიებო სამუშაოები) აქციებს. SRM Exploration Private Limited დაკავებულია საძიებო და მომპოვებელი საქმიანობით აფრიკასა და ინდოეთში.

ნუტან მოდჰა

ნუტან მოდჰა გადადგა 4 კომპანიიდან, ხოლო 9 თანამდებობა ეკავა 5 გაუქმებულ კომპანიაში. ამჟამად ნუტანი არ არის დარეგისტრირებული, როგორც რაიმე გარკვეული თანამდებობის მფლობელი. ნუტან მოდჰას სულ 9 თანამდებობა ეკავა კომპანიებში. ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, რადგან თანამშრომელთა უმეტესობა კარიერის მანძილზე მხოლოდ ერთ კომპანიაში მუშაობს.

პაატა წერეთელი, ტრანს ელექტრიკა ლიმიტედის ნდობით აღჭურვილი პირი, ტრანს ელექტრიკა ჯორჯია ლიმიტედის დირექტორი, კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედის დირექტორი;

- გიორგი მგალობლიშვილთან ერთად იყო შპს Caspian Development Corporation Ltd დირექტორი 2007 წლის 20 აგვისტოდან 2009 წლის 28 აპრილამდე;

პრამოდ კუმარ მისრა, ტრანს ელექტრიკას ნდობით აღჭურვილი პირი და აგენტი, „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია ლიმიტედის“ დირექტორი;

რევაზ ლურსმანაშვილი, „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია ლიმიტედის“ დირექტორი 2010 წლის მარტიდან 2011 წლის თებერვლამდე;

- მუშაობდა დირექტორად სხვადასხვა ქართულ კომპანიებში;

3. ქრონოლოგია

2006 წლის 21 აგვისტო - ბელიზში რეგისტრირდება Continental Energy Limited;

2007 წლის 29 ივნისი - ფორმდება ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოში ხუდონჰესის მშენებლობის თაობაზე, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს მთავრობა და კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედი. ხელმომწერნი არიან ნიკა გილაური, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, და მოჰინდერ ვერმა, კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედის აღმასრულებელი დირექტორი.

2007 წლის ივლისი - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ დაასახელა შვეიცარული კონსორციუმი JV Colenco და Stucky შემოთავაზებული პროექტის მიზანშეწონილობის შემსწავლელ ორგანიზაციად.

2007 წლის ივლისი - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ დაასახელა ფრანგულ-იტალიური BRL Ingénierie / ARS Progetti პროექტის „დაცვითი ხასიათის“ კვლევების ჩამტარებლად, მათ შორის ეკოლოგიური, სოციალური და კულტურული გავლენის ანალიზის და გავლენების მართვის თვალსაზრისით.

2008 წლის 2 მაისი - ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირდება კომპანია „Continental Energy International Limited“. რეგისტრაციის სერტიფიკატი გაცემულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების კორპორატიულ საქმეთა რეგისტრატორის მიერ.

2009 წლის 6 ნოემბერი - Continental Energy Limited გამოხატავს SJVN ლიმიტედთან პარტნიორობის ინტერესს ხუდონ-ჰესის მშენებლობაში.

2009 წლის 1 დეკემბერი - Morgan & Morgan Trust Corporation (Belize) Limited გასცემს თანამდებობრივ სერტიფიკატს კორპორაცია Advisors & Services (BVI) Corporation-ზე (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები)

2009 წლის 16 დეკემბერი - SJVN ლიმიტედი პასუხობს Continental Energy Limited-ს ხუდონ-ჰესის მშენებლობაში პარტნიორობის ინტერესის გამოხატვასთან დაკავშირებით.

2009 წლის 23 დეკემბერი - ხელშეკრულება 2007 წლის 29 ივნისით დათარიღებულ ხუდონ-ჰესის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. ხელშეკრულებას ხელს აწერენ ალექსანდრე ხეთაგური, საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი და მოჰინდერ ვერმა და პაატა წერეთელი, Continental Energy Limited-ის დირექტორები;

2010 წლის 6 იანვარი - Continental Energy Limited თხოვნით მიმართავს ენერჯეტიკის სამინისტროს, რათა ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა უფლება, ვალდებულება და პასუხისმგებლობა გადაეცეს შპს „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“.

2010 წლის 13 იანვარი - Continental Energy International Limited დირექტორთა საბჭოს კრება, რომელსაც თავმჯდომარეობს Advisors & Services (BVI) Corporation (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), კრებას ესწრება, ერთადერთი დირექტორი.

2010 წლის 14 იანვარი - Continental Energy International Limited იცვლის სახელწოდებას და ხდება Trans Electrica Limited. სახელის შეცვლის სერტიფიკატი გაცემულია კორპორატიულ საქმეთა რეგისტრატორის მიერ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები).

2010 წლის 15 იანვარი - პაატა წერეთლის და მოჰინდერ კუმარ ვერმას დანიშვნა Trans Electrica Limited ნდობით აღჭურვილ პირებად და აგენტებად. მინდობილობა გაცემულია Trans Electrica Limited-ს მიერ.

2010 წლის 20 იანვარი - Morgan & Morgan Trust Corporation Limited გასცემს რეგისტრირებული აგენტის სერტიფიკატს.

2010 წლის 25 იანვარი - იმართება Trans Electrica Limited-ის დირექტორთა საბჭოს შეკრება. დღის წესრიგი:

- Trans Electrica Georgia Limited-ის დაფუძნება
- შვილობილი კომპანიის წესდების დამტკიცება
- შვილობილი კომპანიის დირექტორების დანიშვნა
- მინდობილობის გაცემა პაატა წერეთელზე

2010 წლის 3 თებერვალი - პრამოდ კუმარ მისრა და მოჰინდერ კუმარ ვერმა პაატა წერეთლის სახელზე გასცემენ მინდობილობას, რომლითაც ის სახელდება მათ კანონიერ წარმომადგენლად, რომელიც პასუხისმგებელია Trans Electrica Georgia Limited-ის დაფუძნებასა და რეგისტრაციაზე.

2010 წლის 1 მარტი - გოჩა თუთბერიძე, SMP ბანკის საბჭოს ყოფილი წევრი, გამოთქვამს თანხმობას, რომ მისი თბილისური მისამართი, ჭავჭავაძის ქ. 41, ბინა 43, გადაეცეს Trans Electrica Georgia Limited-ს, რათა დარეგისტრირდეს შესაბამის ოფიციალურ ორგანოებში ამ უკანასკნელის ოფისის მისამართად.

2010 წლის 24 აპრილი - საქართველოს მთავრობა გამოსცემს დადგენილებას #472, რომლითაც Continental Energy Limited-ს Trans Electrica Limited-ისთვის უფლებების და მოვალეობების გადაცემის ნება დაერთო.

2010 წლის 14 მაისი - სახელმწიფო ცვლილება 2007 წელს საქართველოს მთავრობასა და Continental Energy Limited-ს შორის გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში;

2011 წლის 28 აპრილი - ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და Trans Electrica Limited-ს (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), Trans Electrica Georgia Limited-ს, შპს ელექტრონული სისტემების კომერციულ ოპერატორს და შპს ენერგოტრანსს შორის ტრანს ელექტრიკა ლიმიტედისა და შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას მიერ BOO პრინციპით პროექტის განხორციელებაზე (BOO=Build Own Operate=მშენებლობა, ფლობა, ექსპლუატაცია)

2011 წლის ოქტომბერი - ტრანს ელექტრიკა ლიმიტედი აქვეყნებს სკოუპინგის ანგარიშს;

2012 წლის 23 მაისი - ხელშეკრულება ცვლილებების შესახებ 2011 წლის 28 აპრილს საქართველოს მთავრობასა და „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას, შპს ენერგოტრანსსა და შპს ელექტრონული სისტემების კომერციულ ოპერატორს შორის დადებულ ხელშეკრულებაში „ხუდონჰესის მშენებლობის, ექსპლუატაციისა და ფლობის შესახებ“.

2013 წლის 4 თებერვალი - ცვლილებები 2011 წლის 28 აპრილს საქართველოს მთავრობასა და ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას, შპს ენერგოტრანსსა და შპს ელექტრონული სისტემების კომერციულ ოპერატორს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე;

2013 წლის აპრილი - გარემოს შეფასების ნიდერლანდების კომისია (NCEA) იღებს თხოვნას საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსაგან, რათა განიხილოს ხუდონჰესის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (ESIA=ბსგშ);

2013 წლის 6 მაისი - ხუდონჰესის მშენებლობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის რევიზია, მომზადებული გარემოს შეფასების ნიდერლანდების კომისიის მიერ.

2013 წლის 28 მაისი - ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას, შპს ენერგოტრანსსა და შპს ელექტრონული სისტემების კომერციულ ოპერატორს შორის ხუდონჰესის მშენებლობაზე,

ექსპლუატაციასა და მფლობელობაზე 2011 წლის 28 აპრილს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

4. ურთიერთგაგების მემორანდუმი და ხელშეკრულებები

2007 წლის 29 ივნისი - ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოში ხუდონჰესის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის და ექსპლუატაციის შესახებ;

- ხელმოწერილია საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ნიკა გილაურისა და კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედის (საფოსტო მისამართი მემორანდუმში მითითებული არ არის) აღმასრულებელი დირექტორის მოჰინდერ ვერმას მიერ. მემორანდუმი ეხება 702 მეგავატიანი ელექტროსადგურის ხუდონჰესის, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და 500 კოლოვატიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობას.

საქართველოს მთავრობის ვალდებულებები:

- კონტრაქტორისათვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა;
- ხუდონჰესთან დაკავშირებული ყველა არსებული დოკუმენტის ასლების გადაცემა კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩასატარებლად;
- სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემა მშენებლისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულებისა და ჰესის მშენებლობაზე ხელშეკრულების დადების შემდეგ;

კონტრაქტორის ვალდებულებები:

- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულება არა უგვიანეს 6 თვისა მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ;
- საქართველოს მთავრობისათვის 100,000 ბრიტანული ფუნტის (147,167 ევრო) გადახდა ხუდონჰესის დოკუმენტაციაში;
- ელექტროსადგურის აშენება არა უგვიანეს 36 თვისა ყველა საჭირო ლიცენზიისა და ნებართვის მოპოვების შემდეგ;
- შვილობილი კომპანიის დარეგისტრირება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არა უგვიანეს 30 დღისა ურთიერთგაგების მემორანდუმის ძალაში შესვლის შემდეგ;

კონტრაქტორისა და საქართველოს მთავრობის ვალდებულებები:

გადაწყვეტილების მიღება ხუდონჰესის მშენებლობის ან მასზე უარის თქმის შესახებ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დამთავრებიდან 3 თვის განმავლობაში. თუ მხარეები გადაწყვეტენ ჰესის მშენებლობას, კონტრაქტორი მოიზიდავს 700 მილიონ აშშ დოლარს პროექტირებისა და მშენებლობისათვის.

2009 წლის 23 დეკემბერი - ხელშეკრულება საქართველოში ხუდონჰესის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ, 2007 წლის 29 ივნისით დათარიღებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.

- ხელმოწერილია საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურისა და Continental Energy Limited (28, Nehru Place, New Delhi, Delhi 110019, India) დირექტორების მოწინდერ ვერმასა და პაატა წერეთლის მიერ.
- ცვლილებების შესაბამისად მშენებლობის პერიოდი 36 თვიდან 60 თვემდე გაიზარდა;
- შეტანილია BOO (მშენებლობა, ფლობა, ექსპლუატაცია) სქემა პროექტისათვის;
- პასუხი SJVN ლიმიტედის მიერ 2009 წლის 16 დეკემბერს პარტნიორობის სურვილის გამოხატულებაზე, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის.

კონტრაქტორის ვალდებულებები

- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულება 2010 წლის 1 დეკემბრისათვის;
- პროექტის განხორციელების შესახებ წინადადების შეტანა საქართველოს მთავრობაში 2010 წლის 20 დეკემბრისათვის;
- საჭირო თანხების და ნებართვების მოზიდვა ხუდონჰესისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასრულებისათვის მშენებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ვადაში;
- მშენებლობის დასრულება მშენებლობის უფლების მიღებიდან 60 თვეში;
- საქართველოს მთავრობისათვის 100,000 აშშ დოლარის გადახდა ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში;
- საქართველოს მთავრობისათვის 2,000,000 აშშ დოლარის გადახდა მხარეების მიერ ობიექტის მშენებლობაზე, ექსპლუატაციასა და ფლობაზე შეთანხმების ხელმოწერიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში;
- საქართველოს მთავრობისათვის 1,730,000 აშშ დოლარის გადახდა ობიექტის მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

კონტრაქტორისა და საქართველოს მთავრობის ვალდებულებები

- გადაწყვეტილების მიღება ხუდონჰესის მშენებლობის ან მასზე უარის თქმის შესახებ 2011 წლის 30 მარტამდე;
- 2010 წლის 14 მაისის ხელშეკრულება 2007 წელს საქართველოს მთავრობასა და კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედ-ს შორის გაფორმებულ ურთიერთთავაგების მემორანდუმში ცვლილების შესახებ;
- ხელმოწერილია საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის, მოწინდერ ვერმას, Continental Energy Limited-ის დირექტორის (იურიდიული მისამართი: 35 New Road, Belize City, Hydro division: 28, Nehru Place, New Delhi, Delhi 110019, India) და Trans Electrica Limited-ის (P.O. Box 958, Pasea Estate, Road Town, Tortola, BVI, Hydro division: 28, Nehru Place, New Delhi, Delhi 110019, India) დირექტორის მიერ;
- ამ ცვლილებებით შესაძლებელი გახდა ყველა უფლების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გადაცემა „კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედისგან“ „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედისათვის“: „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“ გააჩნია შესაბამისი ფინანსური და ტექნიკური რესურსები, რომლებიც აუცილებელია პროექტის რეალიზაციისათვის“.

2011 წლის 28 აპრილი - შეთანხმება საქართველოს მთავრობას, ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას, შპს ენერგოტრანსსა და შპს ელექტრონული სისტემების კომერციულ ოპერატორს შორის;

- ხელშეკრულება ხუდონ-ჰესის BOO სქემით განხორციელებაზე ტრანს ელექტრიკა ლიმიტედისა და ტრანს ელექტრიკა ჯორჯია ლიმიტედის მიერ;
- ხელმოწერილია საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის, ტრანს ელექტრიკა ლიმიტედის (P.O. Box 958, Pasea Estate, Road Town, Tortola, BVI, საფოსტო მისამართი: 28, Nehru Place, New Delhi, Delhi 110019, India) დირექტორის მოჰინდერ ვერმას და ტრანს ელექტრიკა ჯორჯია ლიმიტედის (თბილისი 0162, ჭავჭავაძის ქ. 41, ბინა 43) დირექტორის პაატა წერეთლის მიერ;

2012 წლის 23 მაისი - ხელშეკრულება ხუდონ-ჰესის მშენებლობის, ექსპლუატაციისა და ფლობის შესახებ საქართველოს მთავრობას, ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას, შპს ელექტროტრანსს და შპს ელექტრონული სისტემების კომერციულ ოპერატორს შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

- ხელმოწერილია საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის, ტრანს ელექტრიკა ლიმიტედის (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) დირექტორის და ტრანს ელექტრიკა ჯორჯია ლიმიტედის (თბილისი 0162, ჭავჭავაძის ქ. 41, ბინა 43) დირექტორის პაატა წერეთლის მიერ;
- მშენებლობის უფლების მიღების და მშენებლობის დაწყების ვადები გაგრძელებულია არა უგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა.

2013 წლის 4 თებერვალი - ცვლილებები საქართველოს მთავრობასა და ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას, შპს ელექტრონული სისტემების კომერციულ ოპერატორს და შპს ენერგოტრანსს შორის 2011 წლის 28 აპრილს ხელმოწერილ ხელშეკრულებაში;

- მხარეები მორატორიუმს აცხადებენ იმ მიზნით, რომ შესწავლილ იქნეს ხუდონჰესის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და დაზუსტდეს პროექტის განხორციელებისთვის შემდგომი თანამშრომლობის პირობები;

2013 წლის 28 მაისი - ხელშეკრულება ხუდონჰესის მშენებლობაზე, ექსპლუატაციასა და ფლობაზე საქართველოს მთავრობასა და ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), შპს ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას, შპს ელექტრონული სისტემების კომერციულ ოპერატორს და შპს ენერგოტრანსს შორის 2011 წლის 28 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

- ხელმოწერილია საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახი კალაძის, და ტრანს ელექტრიკა ლიმიტედის (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) დირექტორების, მოჰინდერ ვერმასა და ბულო კანსაგარას (P.O. Box 958, Pasea Estate, Road Town, Tortola, BVI No. 1479874) და ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას დირექტორის პაატა წერეთლის მიერ, ID კოდი: 404857650;

კონტრაქტორის ვალდებულებები

- ხუდონჰესის მშენებლობის დაწყება (მშენებლობის უფლების და შესაბამისი სამთავრობო ნებართვების მიღების პირობით) არა უგვიანეს 2014 წლის 1 მარტისა;
- პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 დეკემბრამდე მშენებლობის უფლების მიღების დაგვიანება მხოლოდ და მხოლოდ

კომპანიისაგან გამომდინარე მიზეზების გამო) კომპანია გადაიხდის არა უგვიანეს 90 სამუშაო დღის 2014 წლის 1 მარტის შემდეგ.

5. შენიშვნები

1. 2007 წლის 12 დეკემბრით დათარიღებული დოკუმენტი - „GDR (გლობალური დეპოზიტარული ხელწერილები) დეტალების ჩამონათვალით“, რომლის ასლიც ინახება StockExplain-ში, გვიჩვენებს, რომ SRM (SRM=მეორადი ნედლეული) საძიებო სამუშაოებს ძირითადად აწარმოებდა ხუთი ინვესტორი - რავი ჩილუკური, ბულო კანსაგარა, სანჯაი მალჰოტრა, მოჰინდერ ვერმა და კაგან რატოჯი - თვითიველი ფლობს აქციების 18.20%.
2. საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, დაუთმოს კომპანიას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი იმ პირობით, რომ თუ კომპანია ვერ ააშენებს ჰიდროელექტროსადგურს მიწა უბრუნდება სახელმწიფოს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (დაახლოებით 1400 ჰექტარი) სიმბოლურ ფასად - 1 აშშ დოლარად - მიეყიდა კომპანიას. დღესდღეობით ეს მიწა კომპანიის აქტივებში ირიცხება. ეს მუხლი შეცვლილი იყო საბოლოო ხელშეკრულებაში (რომელსაც 2011 წლის 28 აპრილს მოეწერა ხელი 4.15): „იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა ან ნებისმიერი სახელმწიფო დარგობრივი უწყება მოახდენს კონფისკაციას, სავალდებულო წესით მოიპოვებს, გააეროვნულებს ან სხვაგვარად სავალდებულო წესით შეიძენს „ობიექტს“, „კომპანიის/პროექტის შემსრულებელი კომპანიის“ სააქციო კაპიტალი ან აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა იქნას ანაზღაურებული ამ დროისათვის არსებული საბაზრო ფასით.“
3. Continental Energy Limited-ის საკონტაქტო დეტალები პირველად გამოქვეყნდა ხელშეკრულებაში. ამ კონტაქტებით გამოჩვენდა, რომ კომპანია დარეგისტრირებულია ბელიზში, ხოლო Trans Electrica Limited დარეგისტრირებული იყო ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე. ორივე კომპანიას ერთი დირექტორი ყავდა - მოჰინდერ ვერმა. დოკუმენტაციაში, რომელიც Trans Electrica Limited-მა მიაწოდა საქართველოს საჯარო რეესტრს არ მოიპოვება ინფორმაცია ბელიზში დარეგისტრირებული Continental Energy Limited-ის შესახებ. სამაგიეროდ არის ინფორმაცია სხვა კომპანიის შესახებ მსგავსი სახელწოდებით - Continental Energy International Limited რომელიც რეგისტრირებული იყო ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე 2008 წლის 2 მაისს, სახელი შეიცვალა 2010 წლის 14 იანვარს და გახდა Trans Electrica Limited ანუ მანამდე სანამ ხელი მოეწერებოდა ცვლილებებს და დამატებით ხელშეკრულებას.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

კლარა სიკოროვა, მკვლევარი

CEE Bankwatch Network (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მონიტორინგის ქსელი)

klara.sikorova@bankwatch.org

დათო ჭიპაშვილი, ქართველი მონაწილე

მწვანე ალტერნატივა

dchipashvili@greenalt.org